

## განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დამიწნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დამიწნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ საქართველოს კანონში წინამდებარე ცვლილებები გამოწვეულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

წინამდებარე კანონპროექტი მიზნად ისახავს „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დამიწნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანას „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონპროექტთან.

კანონში დამატება პუნქტი, რომლის მიხედვითაც კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში განთავსებული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მიწის ნაკვეთების გასხვისება შესაძლებელი იქნება მხოლოდ საქართველოს მთავრობის ნებართვით. ცვლილება მიზნად ისახავს აღნიშნული მიწის ნაკვეთების გასხვისების პროცესის მკაცრ სახელმწიფო კონტროლზე დაქვემდებარებას, ეს კი თავიდან აგვაცილებს კულტურული მემკვიდრეობის ზონებში, შესაბამისი ზონის რეჟიმთან მკვეთრად დაპირისპირებული საქმიანობის განხორციელებაზე კერძო ინტერესის გაჩენას და თანმხლებ სამართლებრივი და პრაქტიკული ხასიათის პრობლემებს.

რაც შეეხება მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის ახალ რედაქციას, გარდა ტერმინოლოგიური ხასიათის ცვლილებებისა, მკვეთრად განსაზღვრავს შესაბამის საკითხში საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს კომპეტენციას, რაც არსებულ რედაქციაში მეტად ბუნდოვანია.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

არ იწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას არ ახდენს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის თანახმად, კერძო პირებს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონებში განთავსებული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების შეძენა შეეძლებათ მხოლოდ საქართველოს მთავრობის ნებართვით.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი:

არ ითვალისწინებს ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დწესებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

წინამდებარე კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩვენი ქვეყნის წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

ეს კანონპროექტი არ მოდის წინააღმდეგობაში საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.